



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა შეყილაძე

[Handwritten signature]

2 მარტი 2022 წელი
N 13/36

ეგზ. N1

ა(ა)იპ – საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაციის 2018-2020 წლების
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	7
	აუდიტის კრიტერიუმები	7
	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
	2. აუდიტის მიგნებები	11
	2.1 შესყიდვები	11
	2.2 „თბილისის გრან-პრი“	14
	2.3 შრომის ანაზღაურება	16
	2.4 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები	17

ტერმინები და შემოკლებები

ფედერაცია – ა(ა)იპ – საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.

ფედერაციის წესდება – ა(ა)იპ – საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის წესდება.

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

შრომის კოდექსი – საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“.

ანგარიშსწორების წესი – „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანება.

დაფინანსების წესი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 10 მაისის N03/172 ბრძანება და 2019 წლის 23 იანვრის N69 ბრძანება „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“.

აღმასკომი – ა(ა)იპ – საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო.

„თბილისის გრან-პრი“ – საერთაშორისო ტურნირი „თბილისის გრან-პრი“.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ა(ა)იპ – საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2018-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

შესყიდვები

ფედერაციის მიერ სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას, მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა რიგ შემთხვევებში ხდებოდა ბაზრის კვლევის და, შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის/შეფასების გარეშე, კერძოდ:

- 1) სპორტსმენთა შეკრებებზე სასტუმრო მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული მოწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირების მექანიზმები, არ არის შეთანხმებული და განსაზღვრული სპორტსმენთა კვებისათვის საჭირო მენიუ და მისი ღირებულება. დაუსაბუთებელია სასტუმრო მომსახურების ერთეულის ღირებულებები;
- 2) სატრანსპორტო მომსახურების 70% (204 147 ლარი) ბაზრის კვლევის გარეშე შესყიდულია ერთი მომწოდებლისგან. მომსახურების დამადასტურებელ დოკუმენტებში ხშირად მითითებული არ არის სატრანსპორტო საშუალებებისა და გადასაზიდი საქონლის დასახელება. შესაბამისად, გაურკვეველია რა პარამეტრებსა და ტარიფებზე დაყრდნობით ხდებოდა სატრანსპორტო მომსახურების თანხების დადგენა. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე მომსახურე ორგანიზაციის პირობებშიც, საწვრთნელ შეკრებებზე გადასაზიდი

ინვენტარის მოცულობისა და მარშრუტის უცვლელობის დროს, ტრანსპორტირების ხარჯი არსებითად განსხვავდება;

-) ფედერაციის მიერ საერთაშორისო ტურნირებსა და შეკრებებზე სპორტსმენთა გამგზავრების მიზნით, ბაზრის კვლევისა და ხელშეკრულებების გაფორმების გარეშე, 967,583 ლარის ღირებულების ავიაბილეთები შესყიდულია შუამავალი კომპანიის – ძიუდოს ფედერაციის კონტროლს დაქვემდებარებული, ა(ა)იპ – ძიუდოს განვითარების ხელშეწყობის ფონდის მიერ, 2014 წელს 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს „ჯ. ფ. თრეველისაგან“. არის შემთხვევები, როდესაც ამ კომპანიისგან შესყიდული ბილეთის ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა სპორტული ფედერაციების მიერ ანალოგიურ პერიოდში ამავე მიმართულებით შესყიდული ავიაბილეთების ღირებულებისაგან;

) „თბილისის გრან-პრი 2018 -ის“ ტურნირის ორგანიზების მიზნით, 24,355 ლარის სარეკლამო მომსახურება შესყიდულია ხელშეკრულების გაფორმებამდე 20 დღით ადრე, პრეზიდენტის თანაშემწის მიერ დაფუძნებული შპს „მიქსიდან“.

„თბილისის გრან-პრი“

2018-2019 წლებში „თბილისის გრან-პრის“ საერთაშორისო ტურნირის ფარგლებში ჩამოსული ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის – IJF-ის დელეგატების, სპორტსმენების, ძიუდოს გუნდებისა და თანამშრომლების შიდა სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები 76,370 ლარის ოდენობით, ანაზღაურებულია საბიუჯეტო სახსრებით. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციასა და ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას შორის შეთანხმებული პირობებით კი აღნიშნული ხარჯები შედიოდა სასტუმროს მომსახურების ტარიფებში, რომლის ანაზღაურება უნდა განხორციელებულიყო ტურნირში მონაწილე საერთაშორისო დელეგატების გადახდილი თანხებიდან.

ფედერაციაში დანერგილი კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილე უცხოელ სტუმართა რეგისტრაციის, მათ მიერ გადახდილი სასტუმრო მომსახურების ღირებულების, მისაღები შემოსავლის (სარგებლის სახით) სისრულის შესახებ სარწმუნოებას. სათანადო დასაბუთების, აღმასკომის შესაბამისი გადაწყვეტილებისა და საშემოსავლო გადასახადის დაკავების გარეშე, 125,800 ლარი გაცემულია ფედერაციის მწვრთნელებსა და მსაჯებზე სტიპენდიების სახით.

შრომის ანაზღაურება

-) საშტატო განრიგით გათვალისწინებული ადმინისტრაციისა და მომსახურე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებითა და ფედერაციის სხვა ოფიციალური დოკუმენტებით, რიგ შემთხვევებში განსაზღვრული არ არის სამუშაოს აღწერილობები (შესასრულებელი სამუშაო);

) შრომის დროითი სისტემით ანაზღაურების შემთხვევებში, ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის მექანიზმები დანერგილი არ არის;

) რიგ შემთხვევებში პრემიების, ფულადი ჯილდოსა და სტიპენდიების სახით გამოყოფილი თანხები ფედერაციის თანამშრომლებზე განაწილებულია სათანადო დასაბუთებისა და მიმღები პირების მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების გარეშე.

შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

- J აღმასკომის მხრიდან ფედერაციის საქმიანობაზე წესდებით გათვალისწინებული კონტროლი, სათანადოდ არ ხორციელდება, კერძოდ: ფედერაციის ბიუჯეტის პროექტი აღმასკომის მიერ მომზადებული და ყრილობის მიერ დამტკიცებული არ არის; საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში ფედერაციის თანამდებობის პირთა და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულები და სახელფასო ფონდი აღმასკომის ნაცვლად, დამტკიცებულია ფედერაციის პრეზიდენტის მიერ. დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევა და ფედერაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმება არ განხორციელებულა;
- J არ წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება. არ არის აღრიცხული ფედერაციაში არსებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო მატერიალური ფასეულობები. აუდიტის პერიოდში ჩატარებული მატერიალურ ფასეულობათა აღწერით გამოვლინდა 33 სხვადასხვა დასახელების, 1199 ერთეული ბუღალტრულად აღურიცხავი მატერიალური ფასეულობა. არ ჩატარებულა აქტივებისა და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია;
- J არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქონების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაციები

ფედერაციას:

რეკომენდაცია N1

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიურობის პრინციპის დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ალტერნატიული შეთავაზებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, უზრუნველყოფენ საბაზრო პირობების შესაბამისი საკონტრაქტო ფასების ჩამოყალიბებას.

რეკომენდაცია N2

შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ძიუდოს საერთაშორისო ტურნირების ორგანიზების პირობებში – უცხოელი სტუმრების რეგისტრაციას, სარგებლის სახით მიღებული შემოსავლების სისრულეს.

რეკომენდაცია N3

დასაქმებული პირის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვროს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები ან კონკრეტული თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით შემუშავდეს სამუშაო აღწერილობები. შრომის ანაზღაურების პროცესში თანაბარი მიდგომის უზრუნველსაყოფად, დადგინდეს ფულადი ჯილდოს და პრემიის გაცემის წესი, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნებისათვის ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კრიტერიუმები.

რეკომენდაცია N4

დაინერგოს სააღრიცხვო სისტემა და კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებული საფუძვლების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და დამტკიცებას.

კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით განხორციელდეს მატერიალურ ფასეულობათა და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც უზრუნველყოფს მათ დაცვაზე, არსებობასა და ეფექტიან გამოყენებაზე კონტროლს.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფედერაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ა(ა)იპ – საქართველოს მიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ 2018-2020 წლებში განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ არის საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტია. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ, მნიშვნელოვან კანონშესაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა ა(ა)იპ – საქართველოს მიუდოს ეროვნული ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან.

აუდიტის მასშტაბი	აუდიტმა მოიცვა ფედერაციის მიერ 2018-2020 წლებში განხორციელებული საქმიანობა.
აუდიტის კრიტერიუმები	აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:)/ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;)/ საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“;)/ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანება „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“;)/ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 10 მაისის N03/172 ბრძანება „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;)/ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N69 ბრძანება „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;)/ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;)/ საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2005 წლის 5 აპრილის N10 დადგენილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“;)/ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 26 ივნისის N6-9 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“;)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“;)/ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ფედერაციის შორის ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები;)/ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციასა და საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას შორის 2016 წლის 4 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება 2017-2020 წლებში საქართველოში საერთაშორისო ტურნირის „თბილისის გრან პრის“ ჩატარებაზე;)/ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ წარმოდგენილი „თბილისის გრან-პრის“ ტურნირის პრეზენტაცია (მოსაწვევი);)/ ა(ა)იპ – საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის წესდება.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- / აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- / მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
- / აღნიშნულ სფეროში არსებული კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა;
- / ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
- / მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი).


ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ა(ა)იპ – საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, მოქმედი კანონმდებლობის, საკუთარი და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წესდების შესაბამისად. მისი საქმიანობის ძირითადი მიზნებია: ქვეყანაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება; მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ჩაბმა სპორტულ მოძრაობაში; მოსახლეობაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის როლის ამაღლება; საქართველოში ძიუდოს შემდგომი განვითარება; ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, ასევე სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში საქართველოს ნაკრები გუნდების წარმატებით გამოსვლის უზრუნველყოფა.

წესდების თანახმად, ფედერაციის მართვლობის უმაღლესი ორგანოა ფედერაციის ყრილობა, ყრილობებს შორის ფედერაციის საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს აღმასკომი. ფედერაციის პრეზიდენტი ფედერაციის ხელმძღვანელი პირია.

2018-2020 წლებში ფედერაციის შემოსავლებმა შეადგინა 15,414,504 ლარი,¹ მათ შორის, საბიუჯეტო დაფინანსება – 14,414,965 ლარი, საკუთარი შემოსავლები – 999,539 ლარი.²

დიაგრამა N1. ინფორმაცია 2018-2020 წლებში მიღებული დაფინანსების შესახებ




¹ აქედან, 2018 წელს – 5,870,076 ლარი, 2019 წელს – 6,800,768 ლარი და 2020 წელს – 2,743,660 ლარი.

² აქედან, საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციების მიერ გადახდილი თანხებიდან მიღებული სარგებელი – 697,582 ლარი. სწავლის საფასური – 145,717 ლარი, სპონსორული დაფინანსება – 71,000 ლარი, საპროცენტო შემოსავალი – 54,740 ლარი, საიჯარი შემოსავალი – 30,500 ლარი.


ფედერაციის საბიუჯეტო დაფინანსება ხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

დიაგრამა N2. ინფორმაცია სხვადასხვა პროგრამიდან მიღებული დაფინანსების შესახებ



ამავე პერიოდში ფედერაციის ხარჯებმა შეადგინა 15,314,504 ლარი. აქედან, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა – 7,213,380 ლარი, წინასაშეჯიბრო შეკრებები – 2,779,675 ლარი, „თბილისის გრან-პრი“ – 2,303,327 ლარი, ადგილობრივი ტურნირები – 915,499 ლარი და ფედერაციის მართვასთან დაკავშირებული ხარჯები – 2,102,623 ლარი.

დიაგრამა N3. ინფორმაცია 2018-2020 წლებში გაწეული ხარჯების შესახებ



2. აუდიტის მიგნებები

2.1 შესყიდვები

კრიტერიუმი: ფედერაცია სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპებს. ამ პრინციპების დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ სპორტული ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში განხორციელებული, ასევე სხვადასხვა მომსახურებისა და მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვის თაობაზე არსებული გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით.³

2.1.1 სასტუმრო მომსახურების შესყიდვა

ფაქტობრივი გარემოება: სპორტსმენთა ტექნიკური, ტაქტიკური და ფუნქციონალური დონის ამაღლების მიზნით, 2018-2020 წლებში ფედერაციის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ნაკრების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების დაფინანსებამ შეადგინა 2,779,675 ლარი. შეკრებების ორგანიზების ხარჯების დიდი ნაწილი მოდის სასტუმრო მომსახურებაზე, რომლის შესყიდვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და ამ პროცესის კონტროლის მექანიზმები გამოირჩევა შემდეგი სახის ნაკლოვანებებით:

- 1) რიგ შემთხვევებში მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა განხორციელებულია ბაზრის კვლევისა და, შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის/ანალიზის გარეშე. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სასტუმრო მომსახურების ერთეულის ღირებულებები;⁴ აღნიშნული კონტროლის მექანიზმის არარსებობა დაკავშირებულ მხარესთან,⁵ გარიგების დროს ზრდის არასაბაზრო ფასად მომსახურების შესყიდვის რისკს;
- 2) ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული მოწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირების მექანიზმი, არ არის შეთანხმებული და განსაზღვრული სპორტსმენთა კვებისათვის საჭირო მენიუ⁶ და მისი ღირებულება;
- 3) არ არსებობს შეკრებების ჩატარების პერიოდულობის, ხანგრძლივობის, მათში მონაწილეთა შემადგენლობის და რაოდენობის დადგენის წესი;
- 4) შეკრებებში მონაწილე სპორტსმენების მიერ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მომსახურების მიღება დადასტურებული არ არის შეკრებების მომზადებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი გუნდის მწვრთნელების მიერ; არ ხდება შეკრებებში მონაწილე პირთა რეგისტრაცია/აღრიცხვა და წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დასტურდება გაწეული მომსახურების რეალური მოცულობა.

2.1.2 სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა

2018-2020 წლებში ფედერაციის სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 291,242 ლარი.⁷ მომსახურების 70%, ბაზრის კვლევის გარეშე

³ „ანგარიშსწორებისა და დაფინანსების წესის შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180, 2018 წლის 10 მაისის N03/172 და 2019 წლის 23 იანვრის N69 ბრძანებები.

⁴ დღეში - ერთი სპორტსმენის სასტუმრო მომსახურება სამჯერადი კვებით.

⁵ 2018-2020 წლებში დაკავშირებული პირიდან შესყიდულია 519,890 ლარის მომსახურება.

⁶ ერთი კაცის კვების რაციონი ერთი დღის განმავლობაში.

⁷ აქედან, 2018 წელს - 119,704 ლარი, 2019 წელს - 113,524 ლარი და 2020 წელს - 58,014 ლარი.

შესყიდული ერთი მომწოდებლისგან.⁸ მომსახურების დამადასტურებელ დოკუმენტებში⁹ ხშირად მითითებული არ არის: მომსახურე სატრანსპორტო საშუალება, სპორტსმენთა რაოდენობა, გადასაზიდი ინვენტარის დასახელება და მოცულობა. შესაბამისად, გაურკვეველია, რა პარამეტრებსა და ტარიფებზე დაყრდნობით ხდებოდა სატრანსპორტო მომსახურების თანხების დადგენა. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე მომსახურე კომპანიის პირობებში, ერთი და იმავე მიმართულებით, საწვრთნელ შეკრებებზე გადასაყვანი სპორტსმენების რაოდენობისა და მომსახურების დღეების უცვლელობის პირობებში, ტრანსპორტირების ხარჯი არსებითად განსხვავდება, კერძოდ:

ცხრილი N1. სატრანსპორტო მომსახურება

ნაკრების დასახელება	შეკრების ადგილი	პერიოდი	თანხა	მომსახურების სახეობა
„ჭაბუკები“	ყვარელი	06.2018 წელი	1000	მგზავრობა და შიდა ტრანსპორტირება
„ახალგაზრდები“	ყვარელი	07.2018 წელი	1500	მგზავრობა
„ჭაბუკები“	ბაკური-ანი	05.2018 წელი	1500	მგზავრობა
„ახალგაზრდები“	ბაკური-ანი	12.2018 წელი	500	მგზავრობა
„ახალგაზრდები“ და „ჭაბუკები“	ბაკური-ანი	05.2019 წელი	500	მგზავრობა
„ახალგაზრდები“ და „ჭაბუკები“	ბაკური-ანი	07.2019 წელი	1200	მგზავრობა

2018 წელს „თბილისის გრან-პრის“ საერთაშორისო ტურნირის ჩატარების მიზნით, მიუდოს აკადემიიდან ოლიმპიურ სპორტის სასახლეში¹⁰ ტურნირისათვის საჭირო ინვენტარის გადაზიდვის მიზნით, 2018 წლის 20 მარტს 13,000 ლარის მომსახურებაზე ხელშეკრულება გაფორმდა ფედერაციის პროექტის კოორდინატორის მიერ რამდენიმე დღით ადრე დაფუძნებულ შპს-თან „მე ვარ ძიუდო“. 2019 წლის „თბილისის გრან-პრის“ საერთაშორისო ტურნირის ჩატარების მიზნით კი, ამავე კომპანიასთან, ამავე მარშრუტზე, ასევე ინვენტარის გადაზიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, გახარჯულია 15,000 ლარი.

2.1.3 ავიაბილეთების შესყიდვა

ფედერაციის მიერ საერთაშორისო ტურნირებსა და შეკრებებზე მოჭიდავეთა გამგზავრების მიზნით, 2018-2020 წლებში 7 სხვადასხვა კომპანიისგან, ბაზრის კვლევისა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების გარეშე შესყიდულია 2,674,796 ლარის ღირებულების ავიაბილეთები.¹¹ აქედან, 1,675,163 ლარის ღირებულების ბილეთები მოწოდებულია შპს „თრეველინისგან“, ხოლო 967,583 ლარის ღირებულების ბილეთები შესყიდულია მიუდოს ფედერაციის კონტროლს დაქვემდებარებული, ა(ა)იპ – მიუდოს განვითარების ხელშეწყობის ფონდის მიერ 2014 წელს 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს „ჯ.ფ.

⁸ ი/მ ზურაბ პავლიაშვილი.

⁹ ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

¹⁰ ბელიაშვილის ქუჩა N5-დან უნივერსიტეტის ქუჩამდე.

¹¹ აქედან, 2018 წელს - 1,037,095 ლარის, 2019 წელს - 1,247,259 ლარის და 2020 წელს - 390,442 ლარის.

თრეველისაგან“.¹² ბილეთების შესყიდვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტებით, კერძოდ, ელექტრონული ბილეთებით დგინდება, რომ შპს „ჯ.ფ. თრეველმა“ ავიაბილეთები შეისყიდა შპს „თრეველინისგან“.¹³ შუამავალი კომპანიის მეშვეობით ბილეთების შესყიდვით არსებობს ბილეთების საბაზრო ფასზე მაღალ ფასად შესყიდვის რისკი.

რიგ შემთხვევებში მიუძღოს ეროვნული ფედერაციის მიერ მომსახურე კომპანიებისგან შესყიდული ავიაბილეთების ღირებულებები არსებითად განსხვავდება სხვა ორგანიზაციების მიერ ანალოგიურ პერიოდში ამავე მიმართულებით შესყიდული ავიაბილეთების ღირებულებებისაგან, კერძოდ: 2019 წლის სექტემბერში ყაზახეთის ქალაქ ალმა-ატაში მსოფლიო პირად გუნდურ ჩემპიონატზე შპს „ჯ.ფ. თრეველისგან“ შესყიდული, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრების მგზავრობის ღირებულებამ, თბილისი – ალმა-ატა – თბილისის მიმართულებით ერთ სპორტსმენზე შეადგინა 1,846 ლარი. იმავე პერიოდში ყაზახეთში ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატზე, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ თბილისი – ნურ-სულთანი – ალმა-ატა – თბილისის მიმართულებით შესყიდული ბილეთების ღირებულებამ ერთ სპორტსმენზე შეადგინა 1,300 ლარი.

2.1.4 ინვენტარის აღჭურვილობისა და კვებითი მომსახურების შესყიდვა

„თბილისის გრან-პრი 2018-ის“ ტურნირის ორგანიზების მიზნით, 2018 წლის 15 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწის¹⁴ მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე 20 დღით ადრე დაფუძნებულ კომპანიასთან (შპს „მიქსი“). შესყიდვის საგანი იყო სარეკლამო მომსახურება.¹⁵ შესყიდული საქონლის მოცულობამ შეადგინა 24,355 ლარი. ასევე ბაზრის კვლევის გარეშე, ტურნირის მონაწილეთა კვებითი მომსახურების მიზნით, შპს „ჯ.ფ. თრეველის“ დირექტორის პოზიციაზე დასაქმებული პირისგან შესყიდულია 25,736 ლარის ღირებულების პროდუქტები.¹⁶

2.1.5 პლასტიკური ბარათით განხორციელებული შესყიდვები

2018-2020 წლებში ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე გახსნილი პლასტიკური საბანკო ბარათით, საქართველოში არსებული სავაჭრო ობიექტებიდან სათანადო დასაბუთების გარეშე, შესყიდულია 25,039 ლარის ღირებულების სხვადასხვა მომსახურება და მატერიალური ფასეულობა (სარესტორნო მომსახურება, საწვავი, კვების პროდუქტები, სასაჩუქრე ნაწარმი და სხვ.). შესყიდული მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და ხარჯვის შესახებ მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი.

დასკვნა

ბაზრის კვლევისა და, შესაბამისად, ალტერნატიული წინადადებების განხილვის/შეფასების გარეშე მომწოდებლების შერჩევა ზრდის საბაზრო პირობებთან შეუსაბამო ფასისა და მიწოდების პირობების ჩამოყალიბების რისკებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს საჯარო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას. შესყიდვის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის არსებობა ზრდის არასაბაზრო, მაღალი ფაქტობრივი ფასით მომსახურების შესყიდვის რისკს.

¹² 2017 წელს სადამფუძნებლო დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებით ა(ა)იპ - მიუძღოს განვითარების ხელშეწყობის ფონდი დამფუძნებლად აღარ ფიქსირდება.

¹³ ელექტრონულ ბილეთებში მითითებული არ არის შესყიდული ბილეთების ღირებულება. შესაბამისად, ვერ დგინდება ფასთა სხვაობა.

¹⁴ პრეზიდენტის თანაშემწე. აღმასკომის 2018 წლის 22 ნოემბრის N5 ოქმის შესაბამისად, სამტატო განრიგით - კოორდინატორი 2018 წლის 1 ივნისიდან.

¹⁵ ნაბეჭდი პროდუქცია, ბანერები და მაისურები.

¹⁶ ლანჩპაკეტები და VIP კვება.

რეკომენდაცია N1 ფედერაციას:

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიურობის პრინციპის დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ალტერნატიული შეთავაზებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე უზრუნველყოფს საბაზრო პირობების შესაბამისი საკონტრაქტო ფასების ჩამოყალიბებას.

2.2 „თბილისის გრან-პრი“

საქართველოში საერთაშორისო ტურნირის „თბილისის გრან-პრის“ ჩატარებაზე მიუძღოს საერთაშორისო ფედერაციასა და საქართველოს მიუძღოს ეროვნულ ფედერაციას შორის¹⁷ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2018-2019 წლებში „თბილისის გრან-პრის“ საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებისათვის სულ გახარჯულია 2,835,178 ლარი.¹⁸ აქედან, სამინისტროდან მიღებული დაფინანსებიდან გახარჯულია 2,303,327 ლარი,¹⁹ ტურნირის მონაწილეთა მიერ გადახდილი თანხებიდან – 531,851 ლარი. 2018-2019 წლებში საქართველოში ჩატარებული „თბილისის გრან-პრის“ საერთაშორისო ტურნირებზე ჩამოსული სტუმრების სასტუმროებში განთავსების, კვებისა და სატრანსპორტო გადაადგილების მიზნით, ბაზრის კვლევის გარეშე მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმდა 2018 წელს შპს „ჯ.ფ. თრეველთან“ და 2019 წელს – შპს „თრეველინთან“. სამინისტროდან მიღებული დაფინანსებიდან გახარჯულია 2,303,327 ლარი,²⁰ ტურნირის მონაწილეთა მიერ გადახდილი თანხებიდან – 531,851 ლარი.

2.2.1 მონაწილეთა სატრანსპორტო მომსახურება

კრიტერიუმი: მიუძღოს საერთაშორისო ფედერაციისა და საქართველოს მიუძღოს ეროვნული ფედერაციის მიერ შემუშავებული თბილისის 2018 წლის „გრან-პრის“ ტურნირის“ პრეზენტაციის (მოსაწვევის) შესაბამისად,²¹ ტურნირის ორგანიზატორი (ფედერაცია) კონკურსის დროს უზრუნველყოფს სასტუმროში მყოფი კონკურენტი დელეგაციების უფასო ტრანსპორტირებას. ეს სატრანსპორტო მომსახურება მოცემულია უკვე მითითებული სასტუმროს ტარიფების ფარგლებში და ის მოიცავს ტრანსპორტირებას ოფიციალურ სასტუმროებში და უკან (აკრედიტაცია, გათამაშება, აწონვა, ტრენინგი და შეჯიბრი).

ფაქტობრივი გარემოება: კომპანიების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ფედერაციისათვის მიწოდება არ განხორციელებულა. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ 2018 წელს შპს „ჯ.ფ. თრეველთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მონაწილეთა მიერ გადახდილი თანხებიდან კომპანიის მიერ უზრუნველყოფილია მხოლოდ სასტუმროებში განთავსებისა და კვების ხარჯები. სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები – 38.500 ლარის ოდენობით, სამინისტროდან მიღებული

¹⁷ 2016 წლის 4 ნოემბერი, ქ. ბუდაპეშტი (უნგრეთი), 4-წლიანი ხელშეკრულება.

¹⁸ 2018 წელს - 1,396,035 ლარი და 2019 წელს - 1,439,143 ლარი.

¹⁹ აქედან, ხელშეკრულების შესაბამისად,¹⁹ საპრიზო და სალიცენზიო გადასახადების სახით გადარიცხულია მიუძღოს საერთაშორისო ფედერაციისათვის 400,000 აშშ დოლარი, შესაბამისი კურსით - 1,024,040 ლარი.

²⁰ აქედან, ხელშეკრულების შესაბამისად,²⁰ საპრიზო და სალიცენზიო გადასახადების სახით გადარიცხულია მიუძღოს საერთაშორისო ფედერაციისათვის 400,000 აშშ დოლარი, შესაბამისი კურსით - 1,024,040 ლარი.

²¹ მუხლი 5.

დაფინანსებიდან გადახდილია ფედერაციის მიერ. 2019 წელს „თბილისის გრან-პრის“ ტურნირზე შპს „თრეველინთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სასტუმრო მომსახურებისა და კვების თანხების გარდა, ანაზღაურებულია სატრანსპორტო მომსახურების ნაწილი – 15,000 ლარის ოდენობით. აღნიშნული მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი – 37,870 ლარი ანაზღაურებულია ფედერაციის მიერ სამინისტროდან მიღებული საბიუჯეტო დაფინანსების ხარჯზე. სულ 2018-2019 წლებში „თბილისის გრან-პრის“ საერთაშორისო ტურნირებზე ჩამოსული ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის IJF დელეგატების, სპორტსმენების, ძიუდოს გუნდებისა და თანამშრომლების შიდა სატრანსპორტო მომსახურების მიზნით, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საბიუჯეტო სახსრებით ანაზღაურებულია 76,370 ლარი.

2.2.2 ტურნირში მონაწილე დელეგატების მიერ გადახდილი თანხების აღრიცხვა-განკარგვა

კრიტერიუმი: გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად,²² ნაღდი ფულის სალაროში ან/და საბანკო ანგარიშებზე²³ მონაწილეთა მიერ გადახდილი თანხებით, ტურნირის ორგანიზების განმახორციელებელ კომპანიებს უნდა უზრუნველყოთ: მონაწილეთა სასტუმროში განთავსება, კვება და სატრანსპორტო გადაადგილება, დარჩენილი მოგების 99% კი უნდა გადაერიცხათ ფედერაციის ანგარიშზე. ფედერაცია ვალდებული იყო უზრუნველყო უცხოელი დელეგატების მიერ თავის ანგარიშზე ჩამორიცხული თანხების დროული გადარიცხვა კომპანიის ანგარიშზე და კონკრეტული დელეგატების მიხედვით, თანხების იდენტიფიცირების მიზნით, წერილობითი ფორმით ეცნობებინა გადარიცხული თანხების შინაარსი. კომპანიებს ფედერაციისათვის უნდა წარედგინათ დოკუმენტები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და საზღაურის კალკულაციის შესახებ.

ფაქტობრივი გარემოება: „თბილისის გრან-პრი 2018-ის“ ტურნირზე მონაწილეობა მიიღო 38 ქვეყნის სპორტულმა ორგანიზაციამ. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ შპს „ჯ.ფ. თრეველის“ საბანკო ანგარიშზე მონაწილე უცხოური ორგანიზაციების მიერ გადახდილი²⁴ და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების²⁵ გათვალისწინებით, ფედერაციის ანგარიშზე ჩარიცხულია 110,254 ლარი. 2018 წლის 5 აპრილს ფედერაციის პრეზიდენტის მიერ ფედერაციის სალაროში შეტანილია 138,800 ლარი.²⁶ კონკრეტულად რომელი ქვეყნიდან, რამდენი და ვის მიერ იქნა გადახდილი აღნიშნული თანხა, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება. ფედერაციის სალაროში მიღებული თანხების მომსახურე კომპანიის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა და კონკრეტული მონაწილეების მიხედვით თანხების იდენტიფიცირება, არ განხორციელებულა. ფედერაციის სალაროში შემოსული 138,800 ლარიდან, 125,800 ლარი, ფედერაციის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე, სათანადო დასაბუთების, აღმასკომის შესაბამისი გადაწყვეტილებისა და საშემოსავლო გადასახადის დაკავების გარეშე, ნაღდი ანგარიშსწორებით გაცემულია ფედერაციის მწვრთნელებსა და მსაჯეებზე სტიპენდიის სახით.²⁷ 2019 წელს „თბილისის გრან-პრის“ ტურნირზე შპს „თრეველინთან“ გაფორმებული

²² 2018 წლის 1 მარტი და 2019 წლის 25 მარტი.

²³ ტურნირის მონაწილეთა მოსაწვევში საბანკო რეკვიზიტებად მითითებული იყო შპს „ჯ.ფ. თრეველის“ საბანკო ანგარიში.

²⁴ 23 ქვეყანა – 122,520 ევროს ეკვივალენტი, 354,329 ლარი.

²⁵ 241,959 ლარი,

²⁶ სალაროს შემოსავლის ორდერი N1, 2018 წლის 15 აპრილი.

²⁷ მათ შორის, 13,000 ლარი გაცემულია დახმარების სახით.

ხელშეკრულების შესაბამისად, მონაწილე უცხოური სპორტული ორგანიზაციების მიერ ჩამორიცხულია 742,952 ლარი. მომსახურებაზე გაწეული 289,892 ლარის ხარჯის გათვალისწინებით, დარჩენილი მოგების 99%, შესაბამისად, 448,528 ლარი ჩარიცხულია ფედერაციის ანგარიშზე.

დასკვნა

ფედერაციაში დანერგილი კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილე უცხოელი სტუმრების რეგისტრაციის, მათ მიერ გადახდილი სასტუმრო მომსახურების ღირებულების, მისაღები შემოსავლის (სარგებლის სახით) სისრულის და უცხოელ სტუმრებზე გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობის შესახებ გონივრული რწმუნების მიღებას.

„თბილისის გრან-პრის“ საერთაშორისო ტურნირის მონაწილეთა შიდა სატრანსპორტო მომსახურების ღირებულება 76,370 ლარის ოდენობით ანაზღაურებულია კრიტერიუმის შეუსაბამოდ, საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე.

რეკომენდაცია N 2 ფედერაციას:

შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოში საერთაშორისო ტურნირების ორგანიზების დროს უცხოელი სტუმრების რეგისტრაციას, სარგებლის სახით მიღებული შემოსავლების სისრულეს.

2.3 შრომის ანაზღაურება

კრიტერიუმი: შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი იყენებს შრომის ანაზღაურების დროის სისტემას, შრომის ანაზღაურება ხორციელდება ნამუშევარი დროის მიხედვით, რომლის დადგენის საფუძველია სამუშაო დროის აღრიცხვის მონაცემები;

წახალისების ფორმა – ერთდროული ფულადი ჯილდო გაიცემა მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის.

ფაქტობრივი გარემოება: ადამიანური რესურსის მართვისა და შრომის ანაზღაურების კუთხით გამოვლინდა შემდეგი სახის შეუსაბამოები, კერძოდ:

-) საშტატო განრიგით გათვალისწინებული ადმინისტრაციისა და მომსახურე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებითა და ფედერაციის სხვა ოფიციალური დოკუმენტებით, რიგ შემთხვევებში განსაზღვრული არ არის სამუშაოს აღწერილობები (შესასრულებელი სამუშაო);
-) შრომის დროითი სისტემით ანაზღაურების შემთხვევებში, ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის მექანიზმები არ არის დანერგილი;

-) რიგ შემთხვევებში პრემიების, ფულადი ჯილდოსა და სტიპენდიების სახით გამოყოფილი თანხები²⁸ ფედერაციის თანამშრომლებზე განაწილებულია სათანადო დასაბუთებისა და თანხის მიმღები პირების მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების გარეშე.²⁹

დასკვნა

შრომითი ურთიერთობები არ ეფუძნება შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს: არ არის განსაზღვრული და წერილობითი ფორმით შეთანხმებული ისეთი არსებითი პირობა, როგორცაა, შესასრულებელი სამუშაო. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში გაურკვეველია, კონკრეტულად რა სამუშაოს ასრულებს დასაქმებული პირი, რაც სუსტი შიდა კონტროლის პირობებში იწვევს საჯარო სახსრების არაეკონომიურ/არაეფექტიან განკარგვას და ზრდის ფიქტიური შრომითი საქმიანობის ანაზღაურების რისკებს.

რეკომენდაცია N3 ფედერაციას:

დასაქმებული პირის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვროს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოების სახე ან კონკრეტული თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით შემუშავდეს სამუშაო აღწერილობები. შრომის ანაზღაურების პროცესში თანაბარი მიდგომის უზრუნველსაყოფად, დადგინდეს ფულადი ჯილდოს და პრემიის გაცემის წესი, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნებისათვის პერსონალის შეფასების კრიტერიუმები.

2.4 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

2.4.1 ადმინისტრაციული და საფინანსო კონტროლის ნაკლოვანებები

აღმასკომის მხრიდან ფედერაციის საქმიანობაზე, წესდებით გათვალისწინებული კონტროლი, სათანადოდ არ ხორციელდება, კერძოდ:

-) ფედერაციის ბიუჯეტის პროექტი აღმასკომის მიერ მომზადებული და ყრილობის მიერ დამტკიცებული არ არის;
-) საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში ფედერაციის თანამდებობის პირთა და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულები და სახელფასო ფონდი აღმასკომის ნაცვლად, დამტკიცებულია ფედერაციის გენერალური მდივნისა და პრეზიდენტის მიერ;
-) დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევა და ფედერაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმება არ განხორციელებულა.

2.4.2 აღრიცხვა-ანგარიშგების ნაკლოვანებები

ფედერაციაში არ წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება; არ არის აღრიცხული ფედერაციაში არსებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო მატერიალური ფასეულობები; არ ჩატარებულა აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციები. აუდიტის პერიოდში ჩატარებული

²⁸ სულ: 2018-2020 წლებში ფულადი ჯილდოსა და პრემიის სახით გაცემულია 402,540 ლარი.

²⁹ 2018-2020 წლებში სამინისტროდან ადმინისტრაციისათვის გამოყოფილი ფულადი ჯილდოს გაცემაზე აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, 7,990 ლარი მიღებული აქვთ ამ პერიოდებისათვის მოქმედი საშტატო განრიგის შეუსაბამოდ, პრეზიდენტის თანაშემწის და მძღოლის პოზიციაზე დასაქმებულ პირებს.

მატერიალურ ფასეულობათა აღწერით³⁰ გამოვლინდა 33 სხვადასხვა დასახელების, 1199 ერთეული ბუღალტრულად აღურიცხავი მატერიალური ფასეულობა.

2.4.2 ქონების მართვა, განკარგვა და აღრიცხვა

ფედერაციის სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდების სავარჯიშო პროცესის სრულყოფის მიზნით, 2020 წლის აგვისტოში შესყიდულია 52,952 ლარის ღირებულების მრავალფუნქციური გარე სივრცითი ძალისმიერი სავარჯიშო ტრენაჟორები. აღნიშნული ტრენაჟორები ფედერაციის აღმასკომთან შეთანხმების გარეშე³¹ გადაცემულია და დამონტაჟებულია ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მდებარე, მშენებარე მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. ქონების გადაცემაზე მიღება-ჩაბარების აქტი და მათ დამონტაჟებაზე გაწეული ხარჯების შესახებ მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი.³²

ფედერაციას საკუთრებაში გააჩნია ტექნიკურად გამართული სამგზავრო მიკროავტობუსი.³³ აღნიშნული ავტომანქანის ეკონომიკურ საქმიანობაში (სატრანსპორტო მომსახურება) გამოყენების ფაქტი, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

დასკვნა

სუსტი შიდა კონტროლის გარემო და ცალკეულ პროცესში კონტროლის მექანიზმების არარსებობა, ზრდის ფულადი სახსრების და მატერიალური ქონების არამიზნობრივი და არაფექტიანი გამოყენების რისკებს.

რეკომენდაცია N4 ფედერაციას:

დაინერგოს სააღრიცხვო სისტემა და კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებული საფუძვლების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და დამტკიცებას.

კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით განხორციელდეს მატერიალურ ფასეულობათა და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც უზრუნველყოფს მათ დაცვაზე, არსებობასა და ეფექტიან გამოყენებაზე კონტროლს.

აუდიტორები

მურმან დარაზველიძე
მთავარი აუდიტორი

მამუკა ჯოხაძე
წამყვანი აუდიტორი

ქეთევან დევდარიანი
უფროსი აუდიტორი

ხელმოწერა



³⁰ 2021 წლის 12 დეკემბრის N6 ბრძანების საფუძველზე.

³¹ 2021 წლის 5 თებერვალს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე გაგზავნილი N42-ა წერილის საფუძველზე.

³² აღნიშნული მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა დღესაც არ არის დამთავრებული.

³³ 2018 წელს დაარეგისტრირებული 2007 წლის გამოშვების MERCEDES-BENZ. 2019 წლის ივნისში გაიარა ტექდათვალიერება.

მაკა წოწონავა
 უფროსი აუდიტორ-ასისტენტი
 კახა კუპრავა
 აუდიტორ-ასისტენტი



ვებგვერდი და სოციალური
 მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE